ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37213281**
თარიღი:**24/11/2021**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსისათვის (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ავთანდილ გოლიაძისათვის დროებით დამატებითი ფუნქციების დაკისრების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 სექტემბრის Nბ37.37212524 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. შეტანილი იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსისათვის (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ავთანდილ გოლიაძისათვის დროებით დამატებითი ფუნქციების დაკისრების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 სექტემბრის Nბ37.37212524 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსს (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) - ავთანდილ გოლიაძეს, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე, დამატებით დაეკისროს, ამავე საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის (II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე) თანამდებობისათვის დადგენილი ფუნქციების შესრულება, 2021 წლის 10 სექტემბრიდან მიმდინარე წლის 30 ნოემბრის ჩათვლით და მას თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, დამატებითი ფუნქციების შესრულების პერიოდში, მიეცეს სახელფასო დანამატი თანამდებობრივი სარგოს 40%-ის ოდენობით.“.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე

მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი